რევმატოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

პროფესორი ელენე (დოდო) ქართველიშვილი

რევმატოლოგიის დეპარტამენტი (კათედრა) ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში 1998 წლის მარტში. კათედრის ფუძემდებელი და პირველი გამგე იყო აკადემიკოსი ვლადიმერ წითლანაძე, ხოლო შემდეგ 1998-2006 წლამდე ხელმძღვანელობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელენე (დოდო) ქართველიშვილი.

2006 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის გაერთიანების შემდეგ რევმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად კვლავ არჩეული იქნა პროფ. ე. ქართველიშვილი. დეპარტამენტის მოწვეული პედაგოგები არიან : მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნანული შაყულაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ნანა კალანდაძე, ლევან შალამბერიძე და ექიმი-რევმატოლოგი ნინო ქავთარაძე.

რევმატოლოგიის დეპარტამენტი ფუნქციონირებს აკადემიკოს ვლადიმერ წითლანაძის სახელობის რევმატოლოგიის სამეცნიერი-პრაქტიკული ცენტრის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, ცენტრში ხორციელდება უახლესი იმუნოლოგიური და ბიოქიმიური კვლევები.